

ბორდოს ნარევი

ბორდოს ნარევს იყენებენ: ვაზის, ხეხილის, ბოსტნეულის, კარტოფილის და სხვა კულტურების ძირითადი სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების წინააღმდეგ. უნივერსალური მოქმედება ბაქტერიული და სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ; კარგი დამკავებლობისა და ფუნგიციდური აქტივობის დიდხანს შენარჩუნების უნარი; მასტიმულირებელი მოქმედება: ვარჯის უკეთ განვითარება, ფოთლების გვიანი ცვენა, ნაყოფში შაქრის კონცენტრირება; მარეგულირებელი მოქმედება ფოტოსინთეზზე, სუნთქვაზე, ნახშირწყლებისა და ცილების ცვლაზე; გვალვა-ყინვა და სიცხეგამძლეობის ამღლება; პრეპარატის ნაწილაკების თანაბარი განაწილება ფოთლის ზედაპირზე, ინფექციისაგან დაცავი საიმედო ბარიერის შექმნა.

ბორდოს ნარევის წარმოების პროცესი და ტექნოლოგია იძლევა სრულ გარანტიას, რომ იგი იყოს უსაფრთხო, როგორც მისი გამომყენებლის, ასევე საბოლოო პროდუქციის მომხმარებელთათვის.

მებაღეობაში იყენებენ 1%-იან ბორდოს სითხეს. ამ კონცენტრაციის 100ლ ბორდოს ხსნარის დასამზადებლად საჭიროა 100 ლ წყალი, 1 კგ შაბიამანი და 0,750 კგ ჩაუმქრალი ან 1,5_2,0 კგ ჩამქრალი კირი. შაბიამანს ხსნიან ხის კასრში ჩასხმულ 90 ლ წყალში, ხოლო, კირს 10 ლ წყალში. მიღებულ კირიან ხსნარს ურევვენ და წვრილი ნაკადით ჩაუშვებენ შაბიამნის ხსნარში. ბორდოს სითხე მოცისფრო ლურჯი შეფერილობისაა.

ბორდოს სითხეს ხილკენკროვანი მცენარეების სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებენ. არ შეიძლება ბორდოს სითხის შენახვა მისი დამზადებიდან 24 საათის შემდეგ, რადგან იგი სწრაფად იცვლის შედგენილობას. იმის გამო, რომ სწრაფად ილექება, სასხურებლის გავსებამდე კარგად უნდა ავუროთ.

ატამი

ფოთლის სიხუჭუჭის, კლასტერიოსპორიოზის, ბაქტერიული კიბოს წინააღმდეგ. შესხურება ტარდება შემოდგომით ფოთოლცვენისას და ადრე გაზაფხულზე კვირტების დაბერვამდე. პრეპარატის ხარჯვის ნორმაა 15-20 კგ ტონა წყალზე.

ვაშლი

ყავისფერი სიდამპლის წინააღმდეგ, გამოიყენება კვირტების დაბერვის ფაზაში 15-20 კგ/ 1 ტონა წყალზე. ვაშლის ქეცის წინააღმდეგ - მწვანე, კონუსის ფაზაში 7-10 კგ 1- ტონა წყალზე.

ალუბალი

ალუბლის ქაჯის ცოცხის, ბლის ბაქტერიული კიბოს, ნაცრისფერი სიდამპლის წინააღმდეგ. გაზაფხულზე ადრეული შესხურება კვირტების დაბერვის წინ 15-20 კგ/ ტონა წყალზე.

ციტრუსი

ყავისფერი სიდამპლის, ანთაქნოზის, ნეკროზის ციტრუსბლასტის, ბაქტერიული კიბოს წინააღმდეგ. პრეპარატის გამოყენების კონცენტრაცია 8-10კგ/ ტონა წყალზე.

ლოდინის პერიოდი

უკანასკნელი წამლობიდან - მოსავლის აღებამდე ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი, ალუბალი, ციტრუსი - 15 დღე.

ფიტოტოქსიკურობა

რეკომენდებულ კონცენტრაციებისა და ვადების დაცვის შემთხვევაში არ შეიმჩნევა ფიტოტოქსიკურობა.